ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 2019

№227 (8181)

ფასი: 60 თეთრი

## ზაზა სარალიძე: „ძალიან ბევრი დაჭერა წავა“

მიხეილ კალანდიას პროცესზე ბრალდების 4 მოწმე დაიკითხა



გვ.5

24 სექტემბრიდან

თენგიზ პაპუაშვილი

საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# „კრიმინალები ზურაბიშვილმა კი არა, ივანიშვილმა შეიწყალა“



გვ.3

## ლევან ხაბეიშვილი: „გახარია და ღარიბაშვილი თავად არიან კრიმინალები“



## „ყველაფერი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისკენ მიდის“



გვ.3

ლია მუხაშავრია: „თადუმაძის თავმჯდომარეობა ნიშნავს, რომ სასამართლო მთლიანად ივანიშვილისგან გაკონტროლდება“

## ეკა ბესელია: „ოცნება“ პირადი ცხოვრების კადრებით ადამიანებს ისევ აშანტაჟებს“



გვ.2



კახა კალაძე: „ბესელია დაკითხვაზე უნდა დაიბარონ“

## „ივანიშვილი არჩევნების მოგებას ყველაფრის ფასად შეეცდება“



გვ.4

სოსო ცინცაძე: „ოპოზიცია შეცდომას შეცდომაზე უშვებს“

## „ალანიას გაყვანა უკანონოდ დასჯილი ადამიანებისთვის სულში ჩაფურთხება იქნება“



გვ.4

დავით ლილუაშვილი: „იუსტიციის საბჭოს რეფორმირება აუცილებელია“

### სამართალი

გვ.5

## „ბაბუნია ჟანჟიკია. ეს საქმე მის დონეზე არ გადაწყდებოდა“

პროკურატურაში მოკლული სოსო ქოიავას მამა გამოკითხეს



## ვარკეთილში მე-9 სართულიდან 16 წლის ბიჭი გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა




## თბილისში 20 წლის გოგონა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს





2 მოსამართლე მერაბ გაბინაშვილი: „ნიკა მელიას საქმეზე დღესაც იმავე გადაწყვეტილებას მივიღებდი“



2 გიორგი ოთხმეზურმა ზურაბიშვილთან შეხვედრა არ მოინდომა




6 აშშ-მა რუს დეპუტატებს ვიზების მიცემაზე უარი უთხრა



7 მესი საუკეთესო მეექვსედ გახდა

ISSN 1987-9385

# ეკა ბესელია: „ოცნება“ პირადი ცხოვრების კადრებით ადამიანებს ისევ აშანტაჟებს“

## კახა კალაძე: „ბესელია დაკითხვაზე უნდა დაიბარონ“

– როგორც წინა ხელისუფლება იყო შესაცვლელი, ეს ხელისუფლებაც შესაცვლელია, რომელმაც ვერ შეძლო, გაემართა სისტემა იმგვარად, რომ ადამიანებზე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით ზეწოლა არ ხდებოდეს.

ამის შესახებ დეპუტატმა ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს გუშინ, 24 სექტემბერს, განუცხადა.

მისი თქმით, პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერებით ადამიანებზე ზეწოლა და შანტაჟი ახლაც ხდება და მან რამდენიმე შემთხვევის შესახებ იცის.

ბესელია არ აკონკრეტებს, დეპუტატებზე ხორციელდება თუ არა ზეწოლა და აცხადებს, რომ ამაზე თავად იმ ადამიანებმა უნდა ისაუბრონ.

– ყველამ საკუთარ შინაგან გაუბედაობას თუ მუხრუჭებს თავად უნდა გადააბიჯოს. ეს ისეთი საკითხია, რომელზეც სხვა ვერავინ ისაუბრებს, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც ამ



ყველაზე ამორალური მეთოდების გამოყენებით გარკვეულ გავლენას ექვემდებარებიან.

ოხანაშვილი ნუ მასწავლის, ვის და სად უნდა მივმართო. მასზე ბევრად ადრე ვისწავლე ეს მიმართულებები. ამიტომ მოსწავლე მასწავლებელს ვერ ასწავლის. მე უბრალოდ გეტყვით, რომ არ იქნება ეთიკური, ვისაუბრო იმ ადამიანების ნაცვლად, მაგრამ თავისთავად იმის დაშვება, რომ შესაძლებელია დღესაც წინა რეჟიმის მსგავსად, იმ ძველმა სისტემამ შეინარჩუნოს თავი ისე, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში მოხდა იმავე მეთოდების გამოყენება, ეს ჩემთვის ყველაზე ამაზრზენი რამაა. ამიტომ მიმაჩნია, რომ როგორც წინა ხელისუფლება იყო შესაცვლელი, ეს ხელისუფლებაც შესაცვლელია, რომელმაც ვერ შეძლო გაემართა სისტემა იმგვარად, რომ ადამიანებზე ასეთი ზეწოლა არ ხდებოდეს.

მე არ ვამბობ, რომ ეს მასობრივად ხდება. ყოველ შემთხვევაში, მე რამდენიმე შემთხვევაზე მაქვს ინფორმაცია, მაგრამ თავად უნდა ისაუბრონ. ეს ის თემა არ არის, სადაც შეიძლება მე დავარღვიო ვინმეს პირადი სივრცე. მე ამას ძალიან მტკივნეულად განვიცდი, რადგან ეს იყო პირველი, რაც უნდა შეგვეცვალა.

არ აქვს მნიშვნელობა, მასშტაბი რამხელა იქნება. იქ, სადაც ერთი, ორი, სამი შემთხვევა იქნება და თვალს დავხუჭავთ, ეს ძალიან სწრაფად გაიზრდება. მე ვიცი, რომ არსებობს რამდენიმე ასეთი ფაქტი. ვიცი იმ ადამიანებისგან, ვისაც ეს შეეხო, მაგრამ მეტ დეტალს ვერ გეტყვით, – განაცხადა დეპუტატმა.

ეკა ბესელიას განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა „ქართული ოცნება“.

– აქ არის გამიზნული დეზინფორმაცია, რომელიც ძალიან უახლოვდება პოლიტიკურ უზნეობას, – თქვა გია ვოლსკიმ.

მისი აზრით, ეს „ქართული ოცნების“ ხელწერა არ არის.

– თუ რაიმე ასეთი ინფორმაცია გააჩნია ეკა ბესელიას, აუცილებელია მიაწოდოს ან საზოგადოებას ან სულ მცირე გახადოს ეს ნათელი და ხმამაღლა განაცხადოს ამის თაობაზე. ასე საუბარი, რომ ვიღაცას აშანტაჟებენ, იმდენად არ ახასიათებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ხელწერას, რომ მიმაჩნია, რომ აქ უზუსტობას არ აქვს ადგილი, აქ არის გამიზნული დეზინფორმაცია მიწოდებული საზოგადოებისთვის, რომელიც ძალიან უახლოვდება პოლიტიკურ უზნეობას.

მან, ამასთანავე, ძალიან კარგად იცის, ვინ იწერდა პირად ცხოვრებას, ვინ ეხებოდა, ვის აშანტაჟებდა და ვისი ხელწერა იყო. როდესაც ასეთი უსაფუძვლო ბრალდებით გამოდიხარ ხელისუფლების წინააღმდეგ, ეს მნიშვნელოვანწილად არის ტოლობის დასმა იმ მწამებელ მმართველობასთან, რომლის წინააღმდეგ თვითონ ეკა ბესელია საკმაოდ აქტიურად იბრძოდა ერთი პერიოდი, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

სოფო კილაძის აზრით, თუ ეკა ბესელიას ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით ინფორმაცია აქვს, მისი არგამჟღავნებით თვითონ ხდება დამნაშავე.

კილაძე არ გამორიცხავს, რომ ბესელიას ასეთი ინფორმაცია არ ჰქონდეს და ამას ისე ამბობდეს.

– თუ ეკა ბესელიას ასეთი ინფორმაცია



აქვს, ეს არის დანაშაულის შესახებ ინფორმაცია და მისი არგამჟღავნებით თვითონ ხდება დამნაშავე. თუ არ აქვს და ისე საუბრობს, მხოლოდ პოლიტიკურად, რაც მისი მხრიდან ბევრჯერ მოგვისმენია, ეს არის უბრალოდ ჭორაობა და მეტი არაფერი, – აღნიშნა სოფო კილაძემ.

თბილისის მერი კახა კალაძე კი მიიჩნევს, რომ ეკა ბესელიას განცხადების საფუძველზე შესაბამისმა სამსახურებმა გამოძიება უნდა დაიწყონ.

– მგონია, რომ შესაბამისი სამსახურები უნდა დაინტერესდნენ ამ განცხადების შემდეგ და აუცილებლად დაიბარონ ქალბატონი ეკა დაკითხვაზე. მან უნდა მიაწოდოს შესაბამის სამსახურს სრული ინფორმაცია რაც მას გააჩნია, – განაცხადა კალაძემ.

# მოსამართლე მერაბ გაბინაშვილი: „ნიკა მელიას საქმეზე დღესაც იმავე გადაწყვეტილებას მივიღებდი“

– ნიკა მელიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერია, მოსამართლის დისკრეციის ფარგლებში მიღებული და ამას დღეს იმავე მოცემულობით რომ ვიხილავდე, იმავე გადაწყვეტილებას მივიღებდი.

ასე უპასუხა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა მერაბ გაბინაშვილმა რომან გოცირიძის კითხვას, რომელიც დეპუტატ ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას ეხებოდა.

რომან გოცირიძემ მოსამართლეს ჰკითხა, ნიკა მელიასთან მიმართებით „აღკვეთის ღონისძიების დამძიმებაზე“ გადაწყვეტილება იმიტომ ხომ არ მიიღო, რომ მოხვედრილიყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 20-კაციან სიაში, რაზეც მოსამართლე მერაბ გაბინაშვილმა უპასუხა, რომ „დამძიმებით“ მართლაც შემოვიდა პროკურატურა სასამართლოში, რომელიც გირაოს შეცვლას პატიმრობით ითხოვდა.

დეპუტატის კითხვას, მაშინ როცა ნიკა მელიას აღკვეთის




ღონისძიებაზე იღებდა გადაწყვეტილებას, იყო თუ არა პარლამენტისადმი წარსადგენ სიაში, მოსამართლემ უპასუხა, რომ ეს არ ახსოვს.

– მაშინ რამ გაიძულათ აღკვეთის ღონისძიების ის ფორმა, რომელიც ნიკა მელიას დაუწესეთ?! საქალაქო სასამართლომ ნიკა მელიას გირაო შეუფარდა, მას აუკრძალა საჯარო სივრცეში გამოსვლა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადაადგილება შეუზღუდა სააპელაციო სასამართლომ, ანუ თქვენ, მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების ამ ფორმას დაუმატეთ კიდევ ერთი, ელექტრონული კონტროლი ანუ ნიკა მელიას სახლიდან გასვლა-შემოსვლა უნდა აკონტროლოს საგამოძიებო ორგანომ.

ამისათვის სამაჯურის გაკეთება გახდა საჭირო. თქვენ ფიქრობთ, რომ ჩაიდინეთ უფრო სამართლიანი საქციელი, ვიდრე საქალაქო სასამართლომ?! – ჰკითხა გოცირიძემ გაბინაშვილს.

მოსამართლის განმარტებით, ეს დამატებითი ღონისძიება სასამართლომ ჩათვალა აუცილებელ საჭიროებად იმ კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომელიც უშვებდა ამ ღონისძიების გამოყენებას.

– და მე ვიყავი ის პირი, ვისაც ამის უფლება და დისკრეცია ჰქონდა, – აღნიშნა გაბინაშვილმა.

# როდის დადგება პრეზიდენტის პასუხისმგებლობა შეწყალების საქმეში?

## ეკა გიგაურის განმარტება

– თუკი გამოიკვეთა, რომ პრეზიდენტმა რაღაცის სანაცვლოდ განახორციელა შეწყალების აქტი და სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, ამ შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს.

ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა ინტერპრესნიუსთან განაცხადა.



ეკა გიგაურის თქმით, გამოსაკვლევია, რამდენად იყო ჩართული სალომე ზურაბიშვილი კონკრეტული პატიმრების შერჩევაში და „რა მიიღო სანაცვლოდ“.

– პრეზიდენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეიწყალოს პატიმარი. ამაზე არავინ დავობს. რა თქმა უნდა, მას გადაწყვეტილებით კანონი არ დაურღვევია, თუმცა, თუკი გამოიკვეთა, რომ მან რაღაცის სანაცვლოდ გააკეთა ეს, მაგალითად: ადგილი ჰქონდა კორუფციას და სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, ამ შემთხვევაში სხვა ვითარება არის და მისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს.

ეს არის გამოსაკვლევი – როგორ მოხვდა სია მასთან მაგიდაზე, რამდენად იყო ის ჩართული ამ კონკრეტული პატიმრების შერჩევაში და რის საფუძველზე ამოარჩია და რა მიიღო სანაცვლოდ.

სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მისი პასუხისმგებლობა ვერ დადგება, თუკი მან უბრალოდ აიღო და თავის შეხედულების მიხედვით შეიწყალა. დღეს ჩვენი კანონმდებლობა მას აბსოლუტურად აძლევს უფლებას, რომ შეიწყალოს ნებისმიერ დროს პატიმარი, – აცხადებს ეკა გიგაური.

# დიმიტრი გაბუნია პროკურატურაში დაიბარეს



გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი გაბუნია გამოკითხვის მიზნით დაიბარა.

გაბუნია პროკურატურაში დღეს, 25 სექტემბერს, 11:00 საათზეა დაბარებული.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცემული შეწყალების აქტით, მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამდენიმე პირი შეიწყალა, მათ შორის 22 წლის პოლიციელის, თარაშ მუკბანიანის, გიორგი ოთხმეზურის შვილის, დავით ოთხმეზურისა და სოსო ქოიავას მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები.

სკანდალური შეწყალების შემდეგ პროკურატურამ მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძისა და სხვა პირთა შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

# გიორგი რურუა მთავარი არხის მეწილე გახდა

გიორგი რურუა მთავარი არხის მეწილე გახდა. ინფორმაცია დაადასტურა არხის დამფუძნებელმა ნიკა გვარამიამ:

„პირველი ინვესტიციაც ავწიეთ: 2.5% გაიყიდა და გვყავს ახალი მინორიტარი მეწილე გიორგი რურუა. გამყიდველს არაფერი, ტელევიზიას – 250 ათასი დოლარი შენატანი კაპიტალში!

ესეც, ასე! დავიწყეთ“, – დაწერა გვარამიამ.

როგორც ირკვევა, გიორგი რურუამ მთავარი არხის მეწილისგან, კახა ანჯაფარიძისგან 2.5%-იანი წილი იყიდა, რაშიც 2.500 ლარი გადაიხადა.



მანვე აიღო ვალდებულება, რომ წილის რეგისტრაციიდან ერთი დღის ვადაში არხის საწესდებო კაპიტალში 250.000 აშშ დოლარი შეიტანოს.

რურუამ „ნეტგაზეთს“ განუცხადა, რომ წილის შეძენისა და საწესდებო კაპიტალში შესვლის გადაწყვეტილება მას მიაღებინა შინაგანმა რწმენამ, თავისუფალი სიტყვისა და აზრის არსებობის აუცილებლობამ.

არხის შექმნის შემდეგ ტელეკომპანიის საკონტროლო პაკეტს, 51%-იან წილს, რუსთავი 2-ის ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ფლობდა, ხოლო 49%-ს – კახაბერ ანჯაფარიძე.

ანჯაფარიძე ნასყიდობის ამ ხელშეკრულების შემდეგ 46.5%-ს ფლობს, გიორგი რურუა – 2.5%-ს, ხოლო ნიკა გვარამია ისევ 51%-იანი წილის მფლობელად რჩება.

# გიორგი ოთხმეზურმა ზურაბიშვილთან შეხვედრა არ მოინდომა

ისტორიკოს გიორგი ოთხმეზურის ინფორმაციით, პრეზიდენტს ჰქონდა მასთან კომუნიკაციის მცდელობა შეწყალების შემდეგ, თუმცა მან უარი უთხრა კომუნიკაციაზე.



ამის შესახებ ოთხმეზურმა ინტერპრესნიუსის კითხვის საპასუხოდ გენერალური პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა. ისტორიკოსი საგამოძიებო ორგანომ შეწყალების საქმეზე გამოკითხა.

– მე არ მსურს პრეზიდენტთან შეხვედრა და ესეც ვუთხარი მათ. ბევრი ვარიანტი არსებობს, შეიძლება, არ ჩათვალა საჭიროდ წაკითხვა, თუ ვის იწყალებდა, შეიძლება, ჩათვალა და მაინც ასე გააკეთა. ყველაფერი შეიძლება და მე რატომ დავდგე და ვიმარჩიელო?!

მას ჰქონდა ჩემთან კომუნიკაციის მცდელობა და მე ვუთხარი უარი, – აღნიშნა გიორგი ოთხმეზურმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავრაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კრიმინალები ზურაბიშვილმა კი არა, ივანიშვილმა შეიწყალა“

## ლევან ხაბეიშვილი: „გახარია და ღარიბაშვილი თავად არიან კრიმინალები“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**

***– ლევან, დიდი სკანდალია ატეხილი შეწყალების საქმეზე. ამჟამად ისრების გადატანა მიდის აქეთ-იქით – დიმიტრი გაბუნია, ანგი ხუციშვილი. მიდის გარკვევა, ვინ დაუდო სია პრეზიდენტს მაგიდაზე. რა ხდება?***

– ოპოზიცია ვამბობდით, რომ კრიმინალებმა მოიყვანეს სალომე ზურაბიშვილი და ვალის გადახდის დრო დადგა. მაშინ, როცა მეორე არჩევნები მოდის, ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები, სადაც ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად დაკარგავს ხელისუფლებას, ვალის გადახდისთვის საუკეთესო დრო ნახეს 2019 წელი, როცა წინასაარჩევნო წლის დაწყებამდე, ფაქტობრივად, ისუფთავებენ ველს.

***– ანუ კიდევ უნდა დაეხმარონ კრიმინალები?***

– რა თქმა უნდა, აუცილებლად. რისთვის გამოუშვეს ლავას ოღლის მარჯვენა ხელი, დევაძე, რომელმაც 22 წლის პოლიციელი მოკლა? რატომ გამოუშვეს ყაჩაღობისთვის გასამართლებული ხალხი? რატომ გამოუშვეს სხვა მკვლელები, ბარიგები? ერთი თვე იჯდა ბარიგა, 20 წელი ჰქონდა მისჯილი და ციხიდან გამოვიდა. საერთოდ ძებნილიც შეიწყალა, ციხეში რომ არ მჯდარა, ისეთი ადამიანი.

ეს არის ის ხალხი, რომელიც კრიმინალურ ხელისუფლებას ეხმარება არჩევნებში და ახლა იმაზე საუბარი, რომ გაბუნიას ბრალია, ხუციშვილის ბრალია და ასე შემდეგ, სასაცილოა.

***– ანუ მარტო პრეზიდენტი არ არის დამნაშავე და ეს ხელისუფლების პოლიტიკაა?***

– რა თქმა უნდა, არ არის. სალომე ზურაბიშვილმა, პრეზიდენტი რომ ხდებოდა, ის არ იცოდა. მისი ბილბორდების მაგივრად ივანიშვილმა საკუთარი ბილბორდები გამოაკრა და, როგორ გგონიათ, ზურაბიშვილი მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას?! რა თქმა უნდა, არა.

ეს სია დაწერილია და შემდეგ ეს ხალხი გამოშვებულია ივანიშვილ-გახარიას მიერ. ახლა ყველაფერი ჰბრალდება სალომე ზურაბიშვილს, ცდილობენ, ისრები გადაიტანონ მისკენ. თუ წაიკითხეთ ბიუჯეტის ახალი პროექტი, ნახავთ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას ხარჯები გაუზარდეს 2,2 მილიონით. რას ნიშნავს ეს, იცით?1

***– რას ნიშნავს?***

– ეს არის ბიძინა ივანიშვილის ძღვენი ქართველი ხალხის ხარჯზე, ბიუჯეტის ხარჯზე. 2.2 მილიონი დაუმატეს სალომე ზურაბიშვილს იმისთვის, რომ ლოპოტაზე დაისვენოს, როცა მცოცავი ოკუპაცია იქნება, ან აზერბაიჯანში წავიდეს და აურიოს ჩვენს მეგობარ სახელმწიფოსთან ურთიერთობები და კონფლიქტი გააღვივოს, იმისთვის, რომ კრიმინალები შეიწყალოს!

ამის შესახებ პირადად მეც არაერთხელ მისაუბრია, რომ ეს ხელისუფლება თავად არის კრიმინალებთან გარიგებული და წარმოუდგენელია, კრიმინალს ებრძოლოს ის ხალხი, რომელიც თავად კრიმინალია.



გახარია თავად არის ეჭვმიტანილი ია კერზაიას მკვლელობაში. ერთ-ერთი მთავარი ბანკირი ხელს ადებს, რომ ძალადობდა მასზე და ავალებდა მედიასაშუალებებზე ზეწოლას. ეს კაცი ბრალდებულია 20 ივნისის ღამეს კონკრეტულ დანაშაულებში, ძალის გადამეტებაში, გაუფრთხილებლობით ადამიანებისთვის თვალების დათხრაში და ასე შემდეგ.

***– შეწყდა აქციები, რა გამოდის, ამ სიტუაციაში გახარიამ გაიმარჯვა?***

– ქართველ ხალხზე იძალადა ბიძინა ივანიშვილმა. მე არ მგონია, რომ ვინმემ გაიმარჯვა. ამ სიტუაციიდან როგორ შეიძლება, გამარჯვებული იყოს „ქართული ოცნება“, ენდიაის გამოკითხულთა 60% ამბობს, რომ ხელისუფლება მუშაობს ცუდად, როცა სახელმწიფოს არც ერთ ინსტიტუტს არა აქვს 5%-ზე მაღალი ნდობა. პარლამენტის ნდობა არის მხოლოდ 2%.

ეს ნიშნავს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოშლას. ერთადერთი „ინსტიტუტი“, რომელიც მუშაობს ამ ქვეყანაში, არის კრიმინალური ინსტიტუტი, იმიტომ, რომ აღზევებულია და ვხედავთ, როგორ იწყალებენ კრიმინალებს, როგორ არიან კრიმინალები პრივილეგირებულნი და ხელისუფლებაში დაწინაურებულები.

***– ხელისუფლებაში დაწინაურებულში ვის გულისხმობთ?***

– გახარიას გარდა, ჩემთვის კრიმინალია ირაკლი ღარიბაშვილი, კაცი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო და თავად ბიძინა ივანიშვილმა მოხსნა იმის გამო, რომ კორუფციაში იყო ეჭვმიტანილი. მილიონობით ლარის გაფლანგვასა და შეჭმაზე იყო საუბარი, დააბრუნეს თავდაცვის მინისტრად.

***– აქციებმა შედეგი არ გამოიღო. რა ბერკეტი რჩება ოპოზიციას, რა გეგმა გაქვთ, რას აპირებთ?***

– აქციების პირველმა ნაწილმა შედეგი ნამდვილად გამოიღო. მე ვგულისხმობ პროპორციულ არჩევნებს. ეს ნამდვილად თითოეული ქართველის მიღწევაა და ძალიან მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომ არჩევნები უნდა ჩატარდეს პროპორციული სისტემით.

ახლა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე გადავიდეთ, რაც გულისხმობს იმას, რომ არჩევნებამდე მოვუგოთ ბიძინა ივანიშვილს.

***– ეს რას ნიშნავს?***

– ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ფორმით არჩევნებში შანსი არ აქვს არავის. პირდაპირ ვიცით, რომ იქურდებენ, ვიცით, რომ იყაჩაღებენ, იძალადებენ, ამიტომ მნიშვნელოვანია და დრო კიდევ არის იმისთვის, რომ მოვახერხოთ და ცესკოში შეიცვალოს კომისია ან ცესკოს დაკომპლექტების მიმართულებით შევიდეს ცვლილებები.

ჩვენ თუ არ გამოვტაცებთ ბერკეტებს ბიძინა ივანიშვილს, სიტუაცია ურთულესი იქნება და მაშინ ქართველმა ხალხმა ისიც უნდა იცოდეს, ასევე უნდა იცოდეს ივანიშვილმაც, რომ თუ ეს არ მოხდება არჩევნების გზით, თუ ივანიშვილი კიდევ იძალადებს ხალხზე, კიდევ წაართმევს ხალხს არჩევანს, ამ ქვეყანაში აუცილებლად მოხდება მშვიდობიანი რევოლუცია, რომელიც შეცვლის ხელისუფლებას.

***– რევოლუციას აპირებთ?***

– საერთოდ არ მეშინია ამ სიტყვის ხმარების, ისეთივე რევოლუცია, როგორიც მოხდა, მაგალითად, სომხეთში, აბსოლუტურად მშვიდობიანი, კონსტიტუციის ფარგლებში, ისეთივე რევოლუცია, როგორიც მოხდა მოლდავეთში.

***– ანუ არჩევნების გზით თუ არაფერი გამოვა, იქნება რევოლუცია?***

– ცალსახად, აუცილებლად. ეს რევოლუცია არ არის ცუდი სიტყვა. რევოლუციები არის მშვიდობიანი. რევოლუციები ცვლის ისეთ ხელისუფლებას, რომელიც ძალადობს ხალხზე და შემდეგ უკვე არჩევნების გზით, სადაც უკვე არც კრიმინალი იქნება, არც გახარია, უკვე თავად ხალხი აირჩევს, ვინ იქნება ხელისუფლებაში.

***– გადატეხენ ჯოხს ზურაბიშვილზე. დადგება მისი იმპიჩმენტის საკითხი?***

– ამას არ უნდა ვოლსკისა და მდინარაძის განცხადებები, უმრავლესობა მაგათია და, რომ უნდოდეთ, 5 წუთში გადაწყვეტდნენ ამ პრობლემას. იმპიჩმენტი კი არა, ხომ ხედავთ, ორ მილიონზე მეტი დაუმატეს პრეზიდენტს.

ეს ნიშნავს იმას, რომ სალომე ჩუმად უნდა იყოს და, მსგავსი ფაქტები რომ მოხდება, მას შეაწმენდენ ხელებს. სალომე ბედნიერია, პრეზიდენტია, უხარია. მან ისიც კარგად იცის, რომ სხვა პოლიტიკური მომავალი აღარ აქვს და, აქედან გამომდინარე, მშვენიერი „გრუშა“ ეყოლებათ, რომელსაც შეაწყალებინებენ კრიმინალებს, გააკეთებინებენ შავბნელ საქმეებს და მერე აიჩეჩენ მხრებს, ჩვენ რა შუაში ვართო.

რა გაბუნია, ხალხო, ეს ხომ სასაცილოა! ტყუილად ცდილობენ, ეს საკითხი ქვედა რგოლებში ჩაიტანონ. ამ ქვეყანაში არ ბნელა და ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით.

ვიცით, როგორ მიიღება გადაწყვეტილებები და კრიმინალებთან დაკავშირებით – განსაკუთრებით. ერთი მთავარი ყაჩაღი ზის სოლოლაკის სასახლეში, რომელიც დანარჩენ ყაჩაღებს იწყალებს და ამას ამ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილის ხელით აკეთებს.

# „ყველაფერი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისკენ მიდის“

## ლია მუხაშავრია: „თადუმაძის თავმჯდომარეობა ნიშნავს, რომ სასამართლო მთლიანად ივანიშვილისგან გაკონტროლდება“

იაგო ნაცვლიშვილი

**პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენა დაიწყო. პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი ლევან კობერიძე მოსამართლეობის ყველა კანდიდატის ჩაგდებასა და იუსტიციის საბჭოს დაშლას ითხოვს.**



„არ მჯერა, რომ ეს მოსამართლეები, მათ შორის ქალბატონი თამარ ალანია „ცუდები“ იყვნენ და ახლა „კარგები“ გახდნენ. უნდა დაიწყოს რეალური რეფორმა სასამართლო სისტემაში და არა ეს ფასადური ცვლილებები. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის გზით იუსტიციის საბჭოს არსებული შემადგენლობა უნდა დაიშალოს“, – განაცხადა ლევან კობერიძემ.

მოსამართლეების, ფარული ჩანაწერების მორალური ტერორის, პრეზიდენტის სკანდალური შეწყალებისა და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი **ლია მუხაშავრია** საუბრობს.

***– ლევან კობერიძემ გააჟღერა იდეა და მიმართა დეპუტატებს, რომ არც ერთ კანდიდატს არ დაუჭირონ მხარი, რადგან უმეტესობა კლანის კანდიდატია; ასევე ითხოვს საბჭოს შემადგენლობის დაშლას. რამდენად რეალისტურია ეს მოსაზრება „ოცნების“ პირობებში?***

– მე ძალიან კარგად მესმის ლევან კობერიძის სურვილი და მისწრაფება. სრულიად ვუერთდები მას ამ წინადადებაში, მაგრამ ეს არ მოხდება, იმიტომ, რომ ივანიშვილს ეყო თავხედობა და უმრავლესობიდან გასული ბესელიასა და მასთან ერთად გასული დეპუტატების პროტესტი არაფრად ჩააგდო და იმ ათკაციანი სიიდან ნახევარი ისევ მოსამართლეობის კანდიდატებად წარმოგვიდგა.

ახლა, როდესაც ალანიას ეკითხებიან, როგორ მოხვდით ამ სიაშიო, ალანიას პასუხი არ აქვს. საერთოდ არ იცოდა თურმე, ისეთი ღირსეული და ერთადერთია. როგორ დაკომპლექტდება უმაგისოდ უზენაესი სასამართლო, ეს ვერც მაგას და ვერც სხვებს ვერ წარმოუდგენიათ?! ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ამიტომ, მე არა მგონია, რომ რაიმე წინადადება იქნება გაზიარებული იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სია იყოს უარყოფილი და ეს მოსამართლეები არ დაინიშნონ. ეს პროცესი რომ შეჩერდეს, დამუხრუჭდეს, ან შეიცვალოს, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

***– ალანიას მიმართ უმრავლესობის მხრიდანაც იყო კრიტიკული კითხვები. აქედან გამომდინარე ხომ არ ელოდებით, რომ შესაძლოა რამდენიმე კანდიდატი ჩააგდონ და მერე გვითხრან, დემოკრატიული პროცესი გვქონდაო?***

– ეგ არ არის გამორიცხული, იმიტომ, რომ საზოგადოება ღია ფორმატში ადევნებს თვალს ამ პროცესს და, თუ რომელიმემ თავი შეირცხვინა გამოკვეთილად, არ გამოვრიცხავ, ჩააგდონ და მერე გვითხრან, აი, ბატონო, ის ხომ დავიწუნეთ და სხვები ღირსეულები არიანო.

თუმცა, ძალიან ვეჭვობ, რომ შალვა თადუმაძის კანდიდატურა ჩააგდონ, იმიტომ, რომ უკვე გადაწყვეტილია პრაქტიკულად, თადუმაძე იქნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

***– თადუმაძის თავმჯდომარეობა რას ნიშნავს თქვენთვის?***

– თადუმაძის თავმჯდომარეობა იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ხელისუფლება თავიდან ბოლომდე გაკონტროლდება ბიძინა ივანიშვილისგან. ამით მას ექნება სრული კონტროლი და მისთვის მნიშვნელოვანი ყველა საქმე გადაწყდება ისე, როგორც პირადად მას უნდა და აწყობს.

***– დღეს კლანს მთლიანად ივანიშვილი აკონტროლებს?***

– არა, მე არ ვფიქრობ, რომ კლანს მთლიანად ივანიშვილი აკონტროლებს. მაგრამ, თუ ის ამის სათავეში, მოსამართლეების სათავეში დააყენებს თავის ადამიანს, მაშინ ასე იქნება. სწორედ ეს არის გარიგების ნაწილი. თუ ასე მოხდება, მაშინ ის იქნება კმაყოფილი და ამის წინააღმდეგი არ იქნება.

***– ანუ რეალურად საქმე გვაქვს გარიგებასთან სასამართლოს კლანსა და ბიძინა ივანიშვილს შორის?***

– რა თქმა უნდა. ეს გარიგება სწორედ ამაში გამოიხატება, რომ ეს მოსამართლეები, რომლებიც ახლა სიაში არიან, იქნებიან გამწესებული უზენაეს სასამართლოში. არც ბესელიასა და არც სხვათა პროტესტი არ ჭრის და მივიღებთ იმას, რაც ივანიშვილს უნდა.

***– ბესელიამ თქვა, რომ რამდენიმე პირს კვლავ აშანტაჟებენ პირადი კადრებით და ამის შესახებ მან იცის. ოხანაშვილი ამბობს, გამოძიებას მიაწოდოს ინფორმაციაო და ეს საკმარისია?***

– ადამიანებს არ სჯერათ პროკურატურისა და პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების. ამიტომ რა აზრი აქვს ახლა ამ ინფორმაციის მიწოდებას?! მე მგონი, ეს ისე ცენტრალიზებულად კეთდება, რომ პროკურატურამ იმაზე ადრე იცის, ვიდრე თავად ეს ადამიანი გაიგებს.

ეს მექანიზმი ძალიან ეფექტურია მათ ხელში ადამიანებისთვის გავლენების მოსახდენად. ყველას არ ეყოფა გამბედაობა, რომ ძალიან თავზე ხელაღებული გამოჩნდეს საზოგადოების წინაშე და ამის წინაშე პროტესტი ღიად გამოთქვას. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანი კიდევ დიდხანს იქნება ამ მორალური ტერორის მსხვერპლი.

***– როდესაც ოხანაშვილი ამბობს, სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ, მაშინ ბესელიამ მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიებასო, ეს ნიშნავს, რომ რეალურად ეს საკითხი არ აღელვებთ?***

– რა თქმა უნდა, მას არ აღელვებს საკითხი იქამდე, ვიდრე მას არ შეეხება პირადად, მაგრამ, როდესაც მას შეეხება, მერე ძალიან გვიან იქნება. მხოლოდ ეგ შემიძლია ვუსურვო ოხანაშვილს, როდესაც ასეთ კომენტარებს აკეთებს.

***– გრძელდება სკანდალი პრეზიდენტის შეწყალებასთან დაკავშირებით. ცნობილი ხდება ახალ-ახალი გვარები, ვინც მან შეიწყალა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადმინისტრაციაში ვიღაცას შეაწმენდენ ხელებს. თქვენ რას იტყვით იმ კადრებზე, რომლებიც გაავრცელა ადმინისტრაციამ და რა კომენტარიც გააკეთა დიმიტრი გაბუნიამ?***

– კადრები, რომლებიც გავრცელდა, რა ვიცით, რომ შეწყალების პროექტია? ეგ არ ჩანს იმ კადრებში. ის, რომ ეს შეაქვთ, არაფერს ნიშნავს. აქ მთავარია, ვინ მოამზადა სია. შემსრულებლის დაფიქსირება ძალიან ადვილია. პრეზიდენტს ნამდვილად არ ჰყავს იმხელა აპარატი, რომ ამის გამოკვლევას რთული გამოძიება დასჭირდეს.

მე ვფიქრობ, ივანიშვილი შეხედავს სიტუაციას და, თუ მან გამოაცხადა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, მაშინ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებსაც ასევე სიამოვნებით გამოაცხადებს. მგონია, რომ ეს ქალი, სალომე ზურაბიშვილი, მასაც ისევე უშლის ნერვებს, როგორც მთელ საქართველოს.

***– ამ პროცესს ხედავთ, რომ ვადამდელი არჩევნებისკენ მივდივართ?***

– დიახ. ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ პროცესი აქეთ მიდის. იგივე გიორგი გახარიას გაპრემიერება, მოსამართლეობის კანდიდატების ასეთი უხეში ფორმებით წამოწევა, თავად ამ კანდიდატების თავხედობა და ის ტონი, რომლითაც ისინი კითხვებზე პასუხებს სცემენ და ა.შ. – ეს მაფიქრებინებს, რომ ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოცხადდეს, ოღონდ იქამდე, სანამ ძალაში შევა ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები და ვიდრე პროპორციული წესით არჩევნები იქნება შესაძლებელი.

***– ანუ გგონიათ, რომ ივანიშვილი ეცდება, მაჟორიტარების ხარჯზე რაღაცა დივიდენდები მოიპოვოს?***

– რა თქმა უნდა, მაჟორიტარების ხარჯზე ეცდება ამას. დღეს არჩევნებისთვის ყველაზე მომზადებული არიან „ქართული ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“, ისინი, ვინც პარლამენტში არიან, ხოლო პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები ისევ ასე იქნებიან.

ეს იქნება ძალიან ხელსაყრელი შესაძლებლობა ივანიშვილისთვის, რომელსაც კარგად ესმის, რომ ნორმალური კონკურენციის პირობებში მას არ ეყოლება უმრავლესობა და, შესაძლოა, მანდატები საერთოდ არც კი შეხვდეს.

ამიტომ ის სხვა სცენარებზე მუშაობს.

# რუსთავში მოტოციკლეტი ტაქსს შეეჯახა
## 1 ადამიანი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში, მეგობრობის გამზირზე.

ერთმანეთს გამოძახების სერვისზე დასაქმებული მოტოციკლისტი და მსუბუქი ავტომობილის ტაქსი შეეჯახნენ.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო-სამედიცინო, სახანძრო-სამაშველოსა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

ავარიის შედეგად 20 წლის მამაკაცი დაშავდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა პაციენტი კლინიკა რუსთავში გადაიყვანა.

დაშავებული მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „ივანიშვილი არჩევნების მოგებას ყველაფრის ფასად შეეცდება“

## სოსო ცინცაძე: „ოპოზიცია შეცდომას შეცდომაზე უშვებს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, 2020 წლის არჩევნებისთვის როგორი სტრატეგიით მივლენ ხელისუფლება და ოპოზიცია?***

– 2020 წლის არჩევნები იქნება ყველაზე რთული არჩევნები. შეიძლება პარალელი გავავლოთ 2012 წლის არჩევნებთან. ხელისუფლება დღეს აბსოლუტურად უძლურია, რომ საკუთარ ოჯახში დაამყაროს წესრიგი. ამიტომ, ამ ვითარებაში მას სამი გზა რჩება: ერთი, პოპულისტური ნაბიჯების გადადგმა, მეორე – რეპრესიები და მესამე – არჩევნების წაგების შეგუება.

წინასაარჩევნოდ ერთადერთი, რაც შეუძლია ხელისუფლებას, ეს არის სოციალური ფონის გაუმჯობესება. პენსიონერებისთვის პენსიების და პედაგოგებისთვის ხელფასების გაზრდით. ეს ის არის, რაც საარჩევნოდ ხდება ხოლმე, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა ერთ წელიწადში და გნებავთ რამდენიმე წელიწადში შეუძლებელია. იმდენად არის სოციალური ფონი გაუარესებული და ჩვენი ეკონომიკა იმდენად არის დეგრადირებული, რომ ამის გამოსასწორებლად სხვა რაღაცაა საჭირო.

ამიტომ, ამ რჩება ხელისუფლებას რეპრესიების გაძლიერება და პოპულისტური ნაბიჯები, რაც გარკვეულ სეგმენტზე იმუშავებს.

როგორც გითხარით, მესამე გზაც არის, არჩევნების წაგება და მასთან შეგუება, მაგრამ „ქართული ოცნებისთვის“ ეს გამოსავალი არ არის.



***– დღეს ივანიშვილი არჩევნების წაგებისთვის მზად არ არის?***

– არა! მე ამას გამოვრიცხავ.

***– მაშინ რას ნიშნავდა პროპორციული არჩევნები ნულპროცენტიანი ბარიერით?***

– ე.ი. რაღაც გეგმა აქვს. იქ რომ ჰყავს რუხი კარდინალები, შეიძლება მათ არც კი დაეკითხა და ეს გადაწყვეტილება ისე მიიღო. ჩვენ არ ვიცით, რისთვის ემზადება ივანიშვილი. თუმცა, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ. ბევრისთვის ყველა კითხვის ნიშანი მეორე ტურმა მოხსნა.

***– რას გულისხმობთ?***

– ყველაფრის ფასად არჩევნების მოგებას. ლამის ქვეყნის მოსახლეობის ჯინაზე წავიდა კიდეც, როდესაც კანდიდატი, რომელიც ხალხს არ უნდოდა, შესთავაზა და აარჩევინა. და როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი საკუთარ მომავალს, მოდი, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ მომავალს, ყოფნა-არყოფნის წინაშე დააყენებს?! არავითარ შემთხვევაში, მე ამას სრულიად გამოვრიცხავ!

რაც შეეხება კიდევ ერთ გზას – რეპრესიებს, ესეც ცნობილია პოლიტიკაში. ესეც სრულიად გასაგებია, თუ რა დროს იყენებს მას ხელისუფლება. 20 ივნისის ღამის მოვლენები სწორედ ამ ჭრილში იქნება გადატანილი.

სასამართლოებში დაიწყება საჩვენებელი პროცესები დაკავებული ახალგაზრდების წინააღმდეგ. როგორი ნდობითაც სარგებლობს ჩვენი სასამართლო სისტემა, მოგეხსენებათ.

***– რამდენად იქონიებს სასამართლო პროცესები გავლენას? შეიძლება ამაზე ააწყოს ოპოზიციამ წინასაარჩევნო კამპანია და თქვას, რომ მაგალითად, დაკავებულია ოპოზიციის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი?***

– უსათუოდ იქონიებს და ამ შანსს ოპოზიცია ხელიდან არ გაუშვებს, თუ სწორად იმოქმედებს.

***– დღეს რამდენად სწორად მოქმედებს?***

– შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. როდესაც ოპოზიცია სუსტია და ხალხის უკმაყოფილება ძალიან დიდია ხელისუფლების მიმართ, მაშინ ქვეყანა დგება საფრთხის წინაშე. ავი უკმაყოფილება, განრისხებული ხალხი საფრთხეა არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის. ამ დროს ოპოზიცია ყოველთვის ასრულებს ბალიშის როლს, რათა ხელისუფლების გადაბარება მოხდეს მშვიდობიანად.

2012 წელს სააკაშვილის ხელისუფლება თითქმის დასრულებული იყო, მაგრამ ძლიერი ოპოზიცია მაინც საჭირო იყო ძალაუფლების ასაღებად. სწორედ მაშინ გამოჩნდა ივანიშვილი. მაშინ მან სწორედ ასეთი ბალიში შექმნა, მაგრამ დღეს ოპოზიციამ ეს ბალიში ვერ შექმნა. ამიტომ ხელისუფლება უკვე მისდაუნებურად იქცევა. უკვე ყველაფრის უფლებას აძლევს საკუთარ თავს და ამაში ლომის წილი ოპოზიციის სისუსტეს მიუძღვის.

ქვეყანას დამოკლეს მახვილივით კიდია დაქსაქსული, სუსტი ოპოზიცია, ამას პლუს გაბრაზებული, იმედგაცრუებული ხალხი, ეს ყველაფერი ჭკვიან ხელისუფლებას ძალიან უნდა ანერვიულებდეს, მეტიც, აშფოთებდეს, რაც აბსოლუტურად არ ეტყობა ხელისუფლებას.

***– გამორიცხავთ, რომ რეალური ინფორმაცია არ ჰქონდეს ივანიშვილს თუნდაც ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის შესახებ?***

– გამოვრიცხავ. მე მგონია, რომ ივანიშვილი სრულად არის ინფორმირებული ყველა დონეზე. ბოლოს და ბოლოს საქართველო და მისი დედაქალაქი თბილისი არ არის მეგაპოლისი 19-20 მილიონიანი მოსახლეობით. თბილისში არის ერთი პროსპექტი და ამ ერთ პროსპექტზე, პარლამენტის შენობის წინ აისახება ყველაფერი, რაც შემდეგ, როგორც სხივი, ისე გადის რეგიონებში.

ამიტომ, მე არ მჯერა იმის, რომ ცუდი გარემოცვის, ცუდი მრჩევლების ბრალია ყველაფერი. თუ ადამიანს უნდა, რომ რეალობით იცხოვროს, ის ამას შეძლებს, მით უფრო, ივანიშვილი.

# „ალანიას გაყვანა უკანონოდ დასჯილი ადამიანებისთვის სულში ჩაფურთხება იქნება“

## დავით ლილუაშვილი: „იუსტიციის საბჭოს რეფორმირება აუცილებელია“

გულიკო ბალაძე

**უფლებადამცველი დავით ლილუაშვილი აღშფოთებულია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებად სააკაშვილის დროინდელი, ნდობადაკარგული მოსამართლეების პარლამენტში წარდგენით. ამ თემაზე დავით ლილუაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.**

***– ბატონო დავით, რამ აღგაშფოთათ, რატომ ხართ გაოგნებული თამარ ალანიას განცხადებებით?***

– 2010 წელს ალანია სააპელაციო სასამართლოში განიხილავდა ე.წ. მუხროვანის საქმეს. თითქმის ყველა სასამართლო პროცესს ვესწრებოდი. კარგად მახსოვს მისი დამოკიდებულება დასახელებული საქმის მიმართ. მან ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებია, არც ერთი მტკიცებულება და მოწვეული ექსპერტების დასკვნები არ გაიზიარა.

***– ასეთი მიდგომა წინა ხელისუფლების პირობებში ჩვეული ამბავი იყო.***

– დიახ. პირველ ინსტანციაში ამ საქმეს მოსამართლე კოპალიანი განიხილავდა. ალანიამ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის დროს მართლმსაჯულებაში მოქმედებდა სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი და საკმაოდ დიდი სასჯელებით ხდებოდა ხოლმე განაჩენების გამოტანა.

***– 20-30-წლიან პატიმრობას უსჯიდნენ.***

– ალანიამაც დიდი სასჯელები დაუტოვა ბრალდებულებს, რაც პირველი ინსტანციის განაჩენით იყო დადგენილი. დაცვის მხარე გათავისუფლებას ითხოვდა. ალანიას ხომ შეეძლო, ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე, 1 წელი ან 6 თვე ჩამოეკლო ამ უდანაშაულო ადამიანების სასჯელისთვის, მაგრამ ძალაში დატოვა უმაღლესი სასჯელები. პოლიტპატიმრები კობალაძე, ამირიძე და გორგიაშვილი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით ისხდნენ მიხეილ სააკაშვილის გულაგებში.

***– ანუ მოსამართლე ალანია პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარებოდა?***

– ისევე, როგორც სხვა ოდიოზური მოსამართლეები, ალანიაც ცდილობდა, რეჟიმს მომსახურებოდა და ასრულებდა მაშინდელი რეჟიმის განკარგულებებსა და დირექტივებს.

***– ალანიამ განაცხადა, დღესაც იმავე გადაწყვეტილებას მივიღებდიო.***

– სხვა საქმეებზეც ასეთი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული. ერთ-ერთი ყუფარაძის საქმე იყო. ყუფარაძის საქმესთან დაკავშირებითაც თითქმის იმავენაირად მიმდინარეობდა პროცესი.

***– სააკაშვილის დროინდელი მოსამართლეები, რომლებიც საზოგადოებაში ნდობით არ სარგებლობდნენ, დღეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებად რატომ არიან წარდგენილი?***

– ჩემი ემოციური დამოკიდებულება გამოწვეულია სწორედ ამ ფაქტის გამო. გაუგებარია, რაში დასჭირდა ამ ხელისუფლებას, მით უმეტეს, რეფორმების ფორმატში, სასამართლო ხელისუფლებაში ისეთი ოდიოზური მოსამართლეები დაეტოვებინა, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სააკაშვილის რეჟიმის კონიუნქტურასა და პოლიტიკურ დღის წესრიგს. ამიტომ ვარ აღშფოთებული.



***– პარლამენტი ალანიას მხარს დაუჭერს? კრიტიკული გამოსვლები და კითხვები იყო თვითონ უმრავლესობის მხრიდანაც.***

– დიახ. ალანიას მიმართ კრიტიკული კითხვები იყო მის წარსულ საქმიანობასთან დაკავშირებითაც. თუ პარლამენტი ალანიას კანდიდატურას მხარს დაუჭერს, სამარცხვინო გადაწყვეტილება და სულში ჩაფურთხება იქნება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს ალანიასთანა მოსამართლეების გამო უმაღლეს სასჯელს იხდიდნენ.

***– ზოგადად, ბევრი მოსამართლე იყო დადანაშაულებული, რომ მათ არაკანონიერი განაჩენები გამოიტანეს და ქვეყანას ასეულობით პოლიტპატიმარი ჰყავდა.***

– ამიტომაც გვყავდა 200-მდე პოლიტპატიმარი და 85 პოლიტდევნილი.

***– გამოსავალს რაში ხედავთ, ამ ხელისუფლებას მთელი მოსამართლეთა კორპუსი სახლში უნდა გაეშვა?***

– არა, ეს გააკეთა სააკაშვილმა, როდესაც მთელი მოსამართლეთა კორპუსი სახლში გაუშვა. რამდენიმე წლის წინ, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, სერიოზული განცხადებები კეთდებოდა და, თუ გახსოვთ, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია უნდა შექმნილიყო.

***– დიახ, შემდეგ პროკურატურაში დეპარტამენტი შეიქმნა, რომელიც ამგვარ საქმეებს სწავლობს.***

– მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია რომ შექმნილიყო, გამოიკვეთებოდა მოსამართლეების, პროკურორების, გამომძიებლების როლი, რომლებმაც მიიღეს უკანონო გადაწყვეტილებები, გამოიტანეს უკანონო განაჩენები. აქედან გამომდინარე, მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა.

სამწუხაროდ, ეს ინიციატივა არ განხორციელდა. ამ გზით შეიძლებოდა გარკვეულ დანაშაულში მხილებული მოსამართლეების სასამართლო სისტემიდან გაშვება. სასამართლო სისტემაში იყვნენ და არიან ისეთი მოსამართლეებიც, რომლებსაც დანაშაული არ ჩაუდენიათ.

***– უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის პროცესშიც ხომ შეიძლებოდა გაცხრილვა, თუ უარის სათქმელად გახმაურებულ საქმეებზე უკანონო განაჩენების გამოტანა იქნებოდა ერთ-ერთი კრიტერიუმი?***

– რა თქმა უნდა. ახლანდელი სია იუსტიციის საბჭომ შეადგინა. კანდიდატები იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებმა შეარჩიეს. არამოსამართლე წევრები აპროტესტებდნენ ამ სიაში იმ პირების მოხვედრას, რომლებსაც წლების განმავლობაში უსამართლო და უკანონო განაჩენები გამოჰქონდათ, მაგრამ ხმათა უმრავლესობით ის სია გაიგზავნა პარლამენტში, რაც წარმოდგენილია.

***– იუსტიციის საბჭოს ის შემადგენლობა, რომელიც მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევაზე მუშაობდა, საზოგადოების თვალში დისკრედიტებულია. მათ მიერ წარმოდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატები როგორ იქნებიან ნდობის მანდატით აღჭურვილნი?***

– გარკვეული ინსტიტუტის ანუ იუსტიციის საბჭოს მიმართ უნდობლობაა. ის დაკომპლექტებულია ისეთი მოსამართლეებით, როგორიც არის, მაგალითად, მიქაუტაძე, ამიტომ მათ მიერ წარმოდგენილი სიაც საზოგადოებისთვის მიუღებელია.

***– თვითონ იუსტიციის საბჭო ხომ არ იყო სრულიად ახალი კადრებით დასაკომპლექტებელი?***

– შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება შეიძლებოდა.

***– უზენაესი სასამართლოს 20 მოსამართლეს, ალბათ, როგორღაც შეარჩევენ ძველი და ახალი მოსამართლეებიდან, მაგრამ მომავალში სასამართლოსადმი ნდობა როგორ უნდა აღდგეს?***

– სასამართლო ხელისუფლებაში გარკვეული ცვლილებები უნდა განხორციელდეს. კერძოდ, ცვლილებებია საჭირო იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. იუსტიციის უმაღლესი საბჭო არის სასამართლო ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანო. რადგან სათავეშია პრობლემები, ე.ი. იქ არის პრობლემა გამოსასწორებელი.

***– იუსტიციის საბჭოს რეფორმირებაა საჭირო?***

– აუცილებლად. იუსტიციის რეფორმირება და საკადრო ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რადგან საზოგადოებაში არის უკმაყოფილება იუსტიციის საბჭოს და, ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების მიმართ.

# რუსეთს მესამე ურდოს შექმნის პრეტენზია გაუჩნდა

მარიამ მჭედლიშვილი

**ბოლო დროს ისევ აქტუალური გახდა ევრაზიული კავშირის გაფართოების იდეა. წინა წლებში ითვლებოდა, რომ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის გამო რუსეთმა დაკარგა უკრაინა და მასთან ერთად ჩავარდა ევრაზიული დიდი კავშირის შექმნის ინიციატივა.**

საქართველო, რომელსაც გაფორმებული აქვს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, წესით, ამ სივრცეში არ უნდა მოიაზრებოდეს. თუმცა, რაც დრო გადის, რუსეთი სულ უფრო მეტ პრეტენზიას გამოთქვამს მთელ სამხრეთ კავკასიაზე და იმეორებს, რომ ყველაზე პროდასავლური საქართველო ვერ გახდება ვერც ნატოსა და ვერც ევროკავშირის წევრი და მისი ადგილი ევრაზიულ სივრცეშია.

დაახლოებით ამასვე ამბობენ პრორუსული ჯგუფები საქართველოში. ისინი გაიძახიან, რომ თუ რუსეთთან არ დავალაგეთ ურთიერთობა და არ გამოვაცხადეთ ნეიტრალიტეტი, რუსეთი მიიერთებს ცხინვალის რეგიონს და წაგვართმევს სხვა ტერიტორიებს.

ამერიკელი ექსპერტების დასკვნით, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის არაფორმალური საპილოტო პროექტი ხდება რუსეთ-ბელარუსის ინტეგრაცია. 2021 წლიდან იწყება ორი სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს შერწყმა. საუბარია ეკონომიკის სფეროზე. პირველ რიგში, შეიქმნება ერთიანი საგადასახადო სისტემა.

ბოლო დროს ბელარუსში გააქტიურდა აშშ. ექსპერტების განმარტებით, ამერიკის გააქტიურება ბელარუსს არჩევანის წინაშე არ აყენებს.

რეგიონის ანალიტიკოსების ინფორმაციით, ამერიკის შესვლას აზია-კავკასიაში რუსეთი ევრაზიული კავშირის ახალი პროექტით ხვდება. მასში ბევრი სახელმწიფო მოიაზრება.

რუსეთში ალაპარაკდნენ იმაზე, რომ პუტინის იდეაა „დიდი ევრაზიის პროექტი“. ფაქტობრივად, ესაა „მესამე ურდო“. პირველი ურდო ჩინგისყაენის დროს იყო, მეორე – საბჭოთა კავშირის პერიოდში.

მისი იდეოლოგები აღნიშნავენ, რომ მიმდინარეობს ჰიბრიდული ომი. რუსეთს ამ ომში, არმიისა და ფლოტის გარდა, აქვს ბუნებრივი სიმდიდრე, ადამიანური კაპიტალი და კულტურა. რუსეთმა თავისი გავლენა ყველა საშუალებით უნდა გააძლიეროს.

კრემლის პროექტის ავტორების თქმით, უცხო ძალებმა რუსეთს და მის მოკავშირეებს თავს მოახვიეს ტრადიციული კულტურისათვის უცხო ღირებულებები, მიმდინარეობს მანკიერებების პროპაგანდა, კომერციალიზებული განათლების სისტემა კი მძიმე დღეშია.

რუსეთმა უნდა შექმნას ახალი სისტემა, რითიც გადაარჩენს საკუთარ ხალხს და მთელ ევრაზიას, ანუ მესამე ურდოს.

მესამე ურდოს ჩამოყალიბების იდეა, ერთი შეხედვით, სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოს რეალობას, მის თეზისებს მალე აქაც გაავრცელებენ.

ჰიბრიდულ ომს რუსეთი ყველგან, მათ შორის, საქართველოშიც აწარმოებს. ამ მხრივ კრემლს განსაკუთრებული ძალისხმევა არ სჭირდება, იმიტომ, რომ ჰყავს თავისი ინტერესების გამტარებელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფები. ისინი ხალხს აშინებენ ომით და ტერიტორიების დაკარგვით.

მოსალოდნელია მათი გააქტიურება.



# ზაზა სარალიძე: „ძალიან ბევრი დაჭერა წავა“

## მიხეილ კალანდიას პროცესზე ბრალდების 4 მოწმე დაიკითხა




ზაზა სარალიძე თავისი შვილის, დავით სარალიძის, მკვლელობის საქმეზე ახალ დაკავებებს არ გამორიცხავს.

გუშინ, 24 სექტემბერს, მიხეილ კალანდიას სასამართლო პროცესის შემდეგ, ზაზა სარალიძემ ჟურნალისტებთან ბოლო პერიოდის განმავლობაში კომენტარი პირველად გააკეთა და განაცხადა, რომ ამ საქმესთან ვისაც კი ჰქონდა შეხება, ყველას დააკავებენ.

– სავარაუდოდ, ძალიან ბევრი დაჭერა წავა. ვგულისხმობ ბავშვებსაც, დამნახავებსაც. სამოხელეო ნაწილზე დაწყებულია გამოძიება. ვისაც ამ საქმეში ოდნავი წვლილი მიუძღვის, ყველა დაისჯება.

საქმის მასალებიდან ძალიან კარგად იკვეთება, რომ რამდენიმე პირი პასუხისგებაშია მისაცემი. ეს შთაბეჭდილება აქამდეც შექმნილი მქონდა, მაგრამ დღეს, რა თქმა უნდა, გამიმყარდა რამდენიმე მოწმის ჩვენებით, – განაცხადა სარალიძემ.

სამოხელეო დანაშაულზე შედეგი აუცილებლად უნდა დადგეს.

ამის შესახებ ზაზა სარალიძის ადვოკატმა ნესტან ლონდარიძემ განაცხადა.

– არც ჩვენ და არც საზოგადოება არ გაჩერდება და ბოლომდე მიადევნებს ამას თვალყურს. ნამდვილად გვაქვს მოლოდინი, რომ ყველა პირი, ვინც კი გამოიკვეთება ამ კუთხით, აუცილებლად დაისჯება.

ვგულისხმობ ყველა იმ პირს, ვინც საქმეში მონაწილეობდა. პირველ რიგში, დიდი როლი საქმის ზედამხედველ პროკურორებს მიუძღვით, რომელთა დიდი წვლილიც საქმეში სავარაუდოდ, იკვეთება. ეს აუცილებლად ბოლომდე მიყვანილი იქნება.

ამ პროკურორებთან ერთად, მათი ზემდგომები, თუ ვისგან იღებდნენ დავალებებს, საქმიდან გამოიკვეთება და აუცილებლად პასუხს აგებენ, – თქვა ადვოკატმა ლონდარიძემ.

სასამართლოზე ის პირები დაიკითხნენ, რომლებიც მკვლელობის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა ბესიკ ქვარცხავამ განუცხადა.

– დღევანდელ სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი 4 მოწმე. ოთხივე მოწმემ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით ისაუბრა, რაც პირდაპირ კავშირშია ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდების შინაარსთან. ეს მოწმეები გახლდნენ სწორედ ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ, ან მუშაობენ შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე ერთ-ერთი მოწმე გახლდათ 51-ე სკოლის იმდროინდელი მოსწავლე. შესაბამისად, მათ გარკვეული შეხება ჰქონდათ როგორც კონფლიქტში მონაწილე პირებთან, ასევე დანაშაულის ჩადენის ადგილთან, სადაც განხორციელდა დავით სარალიძის მკვლელობა, – განაცხადა პროკურორმა ქვარცხავამ.

შესაძლოა თუ არა, რომ დამნაშავე პირთა წრე გაიზარდოს?

ამ კითხვაზე პროკურორმა უპასუხა, რომ თუ რომელიმე პირის მიმართ რამე სახის დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, მის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება და სამართლებრივი ღონისძიებების გატარება მოხდება.

მიხეილ კალანდიას ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე შემდეგი სასამართლო სხდომა 3 ოქტომბერს, 16:00 საათზე დაინიშნა.

# ბათუმში დაკავებული 4 ყოფილი მაღალჩინოსანი 100.000 ლარის გირაოთი გაათავისუფლეს




ბათუმში დაკავებული 4 ყოფილი მაღალჩინოსანი სასამართლომ 100 ათასი ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ ყოფილი ვიცემერი თენგიზ პეტრიძე, აჭარის განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე ბაგრატ მანველიძე, საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე ვლადიმერ ხინთიბიძე და მერიის შესყიდვების სამსახურის ყოფილი უფროსი ბექა ხალვაში.

პატიმრობაში რჩებიან ბათუმის ყოფილი მერი გიორგი ერმაკოვი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე არჩილ ვანაძე და მერიის ქონების მართვის სამსახურის ყოფილი უფროსი ეგასლან ლომაძე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესი გუშინ, 24 სექტემბერს, განახლდა. მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე იმსჯელა.

მერიის ყოფილ მაღალჩინოსნებს საგამოძიებო ორგანო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ბიუჯეტიდან თანხის გაფლანგვას ედავება.

საქმე „იაფი სახლის“ პროექტს ეხება.

# მარიამ კუბლაშვილი: „გლდანის ციხეში პატიმარმა მერაბ ჩხაპელიამ მუცელი გადაიჭრა“

გლდანის ციხეში პატიმარმა მერაბ ჩხაპელიამ მუცელი გადაიჭრა. ადვოკატ მარიამ კუბლაშვილის ინფორმაციით, პატიმარს კონფლიქტი ბადრაგთან ჰქონდა და თვითდაზიანება სწორედ ამის გამო მიიყენა.



ადვოკატი სახალხო დამცველს მიმართავს და დახმარებას სთხოვს.

– ინციდენტის შემდეგ გაყვანილია კამერიდან და კამერიდან თვითონ სხვა პატიმრები დაგვიკავშირდნენ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს პირადი კონფლიქტი ჰქონდა ბადრაგთან. ბადრაგი მას ექცეოდა ცინიკურად და უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა. მეტი ჯერჯერობით არაფერი ვიცი.

პატიმრებმა მოგვმართეს, რომ არის საგანგაშო მდგომარეობა და გთხოვთ, მოახდინეთ რეაგირებაო. სახალხო დამცველს უკვე მივმართეთ, რომ მოხდეს მისი საქმის სასწრაფოდ შესწავლა, – აღნიშნა ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა.

# 5.000 დოლარი შსს-ში მოსაწყობად

## 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე 1 პირი დააკავა

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, დაუკავშირდა ერთ-ერთ მოქალაქეს, შევიდა მასთან ნდობაში და დაარწმუნა, რომ სანაცნობო წრის მეშვეობით, 5.000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, დაეხმარებოდა მას შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებაში.

ბრალდებული დააკავეს მოთხოვნილი თანხის ნაწილის – 3.500 ლარის აღების ფაქტზე.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-180-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ვარკეთილში მე-9 სართულიდან 16 წლის ბიჭი გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა

23 სექტემბერს, საღამოს, ვარკეთილში მე-9 სართულიდან 16 წლის ბიჭი გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა.

შემთხვევა მესამე მასივში მოხდა.

მოზარდის მეზობლების ინფორმაციით, ბიჭი მეგობართან იყო სტუმრად, როდესაც ტრაგედია მოხდა. როგორც ინტერპრესნიუსის კორესპონდენტს დაღუპული ბიჭის მეზობლებმა განუცხადეს, მათი ვერსიით, ბიჭი 9-სართულიანი კორპუსის სახურავიდან გადმოვარდა, სადაც ის, სავარაუდოდ, მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა.

დაღუპული მოზარდი 108-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე იყო. სკოლის ისტორიის მასწავლებელი ფიქრია ჯაბანიშვილი თვითმკვლელობას გამორიცხავს.

– ოჯახში აბსოლუტურად არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. ორი სტუდენტი და ჰყავდა. ძალიან ხალისიანი ბავშვი იყო. რა მოხდა, არ ვიცით, ახლაც შოკში ვართ. ყველა გაოცებული ვართ.

მე ვფიქრობ, უბედური შემთხვევა მოხდა. 27 სექტემბერთან დაკავშირებით ვატარებდით ღონისძიებას, პერფორმანსი უნდა გვქონოდა და ისიც აპირებდა აქტიურ მონაწილეობას, – თქვა მასწავლებელმა.

„პრაიმტაიმმა“ ვარკეთილში 16 წლის მოზარდის დაღუპვის ადგილზე არსებული მტკიცებულებების გადაღება მოახერხა.

კადრებში ჩანს სახურავზე არსებული ანაბეჭდები და ბოთლები. შემთხვევის ადგილზე მყოფმა მოქალაქეებმა თქვეს, რომ, უბედურ შემთხვევამდე სახურავზე 16 წლის მოზარდი სხვა თანატოლებთან ერთად ალკოჰოლს სვამდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# „გაბუნია ჭანჭიკია. ეს საქმე მის დონეზე არ გადაწყდებოდა“

## პროკურატურაში მოკლული სოსო ქოიავას მამა გამოკითხეს



მოკლული სოსო ქოიავას მამა შეწყალების საქმეზე პროკურატურაში გამოკითხეს.

თამაზ ქოიავას კითხვები მისი შვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებულის შეწყალებასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციაზე დაუსვეს.

როგორც ქოიავამ აღნიშნა, დიმიტრი გაბუნია მხოლოდ პატარა ჭანჭიკია და საქმეები მის დონეზე არ წყდება.

– მე არ ვარ პატარა ბავშვი და არ ვარ ისეთი, რომ ვინმემ შეცდომაში შემიყვანოს და მომატყუოს. გაბუნია ჩემთვის არავინაა. გაბუნია არის პატარა ჭანჭიკი. მის დონეზე გადაწყდებოდა ეგ საქმე?

გულთმისანი არ ვარ, ვიცოდე, ვინ დგას ამის უკან. სიამოვნებით დავუჭერ მხარს, თუ პრეზიდენტის იმპიჩმენტს მოახდენენ, – განაცხადა თამაზ ქოიავამ.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოცემული შეწყალების აქტით, მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამდენიმე პირი შეიწყალა, მათ შორის 22 წლის პოლიციელის, თარაშ მუკბანიანის, გიორგი ოთხმეზურის შვილიშვილის, დავით ოთხმეზურისა და სოსო ქოიავას მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები შეიწყალა.

ქოიავას მკვლელობისთვის მსჯავრდებული რამდენიმე წლის განმავლობაში იძებნებოდა.

სკანდალური შეწყალების შემდეგ პროკურატურამ მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძის და სხვა პირთა შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

# თბილისში 20 წლის გოგონა საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს



თბილისში საკუთარ საცხოვრებელ სახლში 20 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს.

მან, სავარაუდოდ, თავი ჩამოიხრჩო. როგორც „ნიუპოსტმა“ გაარკვია, ახალგაზრდა ქალი ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ცხოვრობდა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# „ჰოლიდეი ინთან“ ერთმანეთს 2 მოტოციკლი და 1 მანქანა შეეჯახნენ



სასტუმრო „ჰოლიდეი ინთან“ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს 2 მოტოციკლი და 1 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ.

შემთხვევის შედეგად დაშავებულია 2 ადამიანი.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაზიანება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# აშშ-მა რუს დეპუტატებს ვიზების მიცემაზე უარი უთხრა




რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელ კონსტანტინ კოსაჩევსა და რამდენიმე სხვა კანონმდებელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვიზების გაცემაზე უარი უთხრა.

როგორც კონსტანტინ კოსაჩევმა განაცხადა, ვიზების გაცემაზე უარის გამო, რუსი კანონმდებლები გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად გამგზავრებას ვერ შეძლებენ.

– საერთაშორისო საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებების დარღვევით, ამერიკულმა მხარემ დელეგაციის რამდენიმე წევრს, მათ შორის მეც, რომლებიც დღეს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებლად ნიუ-იორკში გამგზავრებას ვაპირებდით, ვიზის გაცემაზე უარი გვითხრა, – განაცხადა კოსაჩევმა.

მისივე თქმით, ვიზაზე უარი რუსული დელეგაციის ათმა წევრმა მიიღო.

– ეს არის აღმაშფოთებელი საქციელი, რომლის არც ახსნა და არც გამართლება არ შეიძლება, – დასძინა კოსაჩევმა.

შეერთებულმა შტატებმა რუსი კანონმდებლებისთვის ვიზის გაცემაზე უარის თქმით საერთაშორისო წესები დაარღვია.

ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

პესკოვმა აღნიშნა, რომ აშშ-ის გადაწყვეტილება მიუღებელია.

– სიტუაცია შემაშფოთებელი და მიუღებელია. ვაშინგტონი საერთაშორისო ვალდებულებებს არღვევს. ეს არის ვაშინგტონის მხრიდან საერთაშორისო ვალდებულებების პირდაპირი დარღვევა, ვინაიდან ეს არ არის ორმხრივი ვიზიტი, არამედ ეს გახლავთ რუსეთის დელეგაციის ვიზიტი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, – განაცხადა პესკოვმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, აშშ-ს არ აქვს უფლება იმ ადამიანებს, რომლებიც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიემგზავრებიან, რაიმე სახის შეზღუდვები დაუწესოს.

გაეროს გენერალური ასამბლეის ყოველწლიური სხდომა წელს ნიუ-იორკში, 24-30 სექტემბერს იმართება.

# სომხეთის შს ყოფილი მინისტრი გარდაცვლილი იპოვეს



სომხეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ჰაიკ ჰარუთიუნიანის ცხედარი ერევანთან, სოფელ ბჟნიში მდებარე სახლში აღმოაჩინეს.

ამის შესახებ საგამოძიებო კომიტეტის პრესმდივანმა ნაირა ჰარუთიუნიანმა განაცხადა. მანვე დასძინა, რომ სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული.

ჰაიკ ჰარუთიუნიანი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო 1999-2003 წლებში, ხოლო 2003-2008 წლებში სომხეთის პოლიციის უფროსი.

მას 2008 წლის 1 მარტის შეტაკებების საქმეზე მოწმის სტატუსი ჰქონდა, რომელშიც ერთ-ერთი ექვმიტანილი ექსპრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანია.

# ავღანეთში თალიბანის 30 მებრძოლი გაანადგურეს




ავღანეთის ავიაციამ საჰაერო იერიშების საშუალებით რადიკალური მოძრაობა თალიბანის 30 მებრძოლი გაანადგურა.

ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში დაიბომბა რადიკალების სამი ბაზა, განადგურდა იარაღის საიდუმლო საწყობებიც.

# საბერძნეთის ნაპირებთან მიწისძვრა მოხდა

საბერძნეთის ნაპირებთან 5,7 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. ამის შესახებ აშშ-ის გეოლოგიური სამსახური იუწყება.

მიწისძვრა დასახლებულ პუნქტ მაკრი-იალოსიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 91 კილომეტრზე დაფიქსირდა.

ნგრევის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.



# ალჟირში საავადმყოფოში ხანძარს 8 ახალშობილი ემსხვერპლა

ალჟირის ერთ-ერთ პროვინციაში, საავადმყოფოში გაჩენილ ხანძარს 8 ახალშობილის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ხანძარი პერინატალურ განყოფილებაში გაჩნდა.

სამოქალაქო თავდაცვის ძალებმა 76 ადამიანის ევაკუირება მოასწრეს.

გამოძიების წინასწარი ვერსიით, ხანძარი მოკლე ჩართვამ გამოიწვია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მონადირეს მამა ტახში შეეშალა და მოკლა



იტალიაში პოლიციამ საკუთარი მამის მკვლელობის ბრალდებით მონადირე დააპატიმრა. ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის ინფორმაციით, მამაკაცს მამა ტახში აერია.

კვირას ორი მამაკაცი, მამა და შვილი ტახზე სანადიროდ ეროვნულ პარკში წავიდნენ, რომელიც სალერნოს პროვინციის პოსტილიონეს კომუნის მახლობლად მდებარეობს. 34 წლის მონადირემ, რომლის ვინაობა არ სახელდება, ყურადღება მიაქცია ხეებს შორის მოულოდნელად გამოჩენილ ჩრდილს, ფოთლების შარიშურს და გაისროლა. თუმცა მისი გასროლილი ტყვია მოხვდა არა ტახს, არამედ მამამისს – 55 წლის მარტინო გაუდიოზოს.

უიღბლო მონადირემ მაშინვე განგაში ატეხა და შეეცადა მამისთვის პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა, რომელიც მუცელში იყო დაჭრილი. თუმცა ვერც მან და ვერც შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა დაჭრილის გადარჩენა ვერ შეძლეს.

ინციდენტის ადგილზე მივიდა პოლიცია. ვინაიდან მამაკაცები ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ნადირობდნენ, რაც ქვეყნის კანონით აკრძალულია, მათი იარაღი კონფისკაციას დაექვემდებარა.

# ქალი მეუღლის ლოდინში გამდიდრდა




ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა მეუღლის ლოდინში დროის გასაყვანად ლატარიის ბილეთი იყიდა და გამდიდრდა.

ქალმა მუშაობა დაამთავრა და გაიგო, რომ ქმარი მას მხოლოდ 10-15 წუთის შემდეგ გამოუვლიდა. დროის გასაყვანად ქალი მაღაზიაში შევიდა და მომენტალური ლატარიის ბილეთი იყიდა. მან იქვე შეამოწმა გათამაშების შედეგები და იღბლიანმა ბილეთმა მას 30 ათასი დოლარი მოაგებინა.

ქალმა მოგებული ბილეთის ფოტოსურათი მეუღლეს გაუგზავნა.

– სურათი კოლეგას ვაჩვენე და ვკითხე: „ეს მართლაც ის არის, რასაც თავად ვფიქრობ?“ – იხსენებს გაოგნებული ქალი.

წყვილი მოგებული თანხით ბინის კრედიტის გასტუმრებას აპირებს.

# კაჭკაჭმა ხანდაზმული მამაკაცი მოკლა



ავსტრალიაში 76 წლის მამაკაცი მას შემდეგ დაიღუპა, რაც მას თავს კაჭკაჭი დაესხა.

ავსტრალიელი, რომლის სახელი უცნობია, ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ვულონგონგის მახლობლად მდებარე პარკში ველოსიპედით სეირნობდა, როდესაც თავს ფრინველი დაესხა. მამაკაცმა მისგან თავის დასაღწევად ბილიკიდან გადაუხვია, ღობეს დაეჯახა, მიწაზე დაეცა და თავის ქალა-ტვინის სერიოზული ტრავმა მიიღო.

ადგილობრივებმა დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე ექიმების მისვლამდე აღმოუჩინეს. ის საავადმყოფოში კრიტიკულ მდგომარეობაში გადაიყვანეს. მიუხედავად ექიმების ძალისხმევისა, ველოსიპედისტი გარდაიცვალა.

ადგილობრივების ცნობით, პარკში ბინადრობს მეტად აგრესიული კაჭკაჭი, რომელიც ადრეც არაერთხელ დასხმია თავს ადამიანებს. მცირე ხნის წინ ის ბავშვსაც დაესხა თავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ცეკვის აკადემია
თელა
გიწვევთ
თანამედროვე,
სამეჯლისო-სპორტული
ცეკვების შესასწავლად



ჯგუფები იმუშავებენ ასაკობრივი დაყოფით 10 წლიდან და ზევით.
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან.
მისამართი: აკაკი წერეთლის 126.
ტელ: 599-77-80-08 235-52-75
Email: academytela@yahoo.com

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 10 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# დავითაძე და პლესნოი მცირე ოქროსა და დიდ ბრინჯაოს დასჯერდნენ



ტაილანდში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალოსნობაში პირველი მედლები მოვიპოვეთ. რევაზ დავითაძემ (87კგ) და ანტონ პლესნოიმ (96) იდენტური შედეგი აჩვენეს. ორივე ძალოსანმა ატაცში მცირე ოქროს მედალი აიღო, ხოლო ორჭიდის ჯამში ბრინჯაო ირგუნეს.

დავითაძემ ატაცში ჯერ 166 კილოგრამი ასწია, შემდეგ 169 დაძლია, რითიც ოქროს მედალი განაღდებული ჰქონდა, მაგრამ საერთო ჩათვლისთვის მეტი იყო საჭირო და ბოლოს 172 კილოგრამიც აიტაცა.

აკვრაში რევაზს არ გაუმართლა. პირველ მისვლაზე ქართველმა ძალოსანმა 199 კილოგრამი დაძლია, მეორე მისვლაზე კი 203 კილოგრამი თითქმის აწეული ჰქონდა, როდესაც ფეხის ტრავმა მიიღო და მცდელობა ჩაუვარდა. მესამე მისვლაზე დავითაძე 204 კილოს შეეჭიდა, მაგრამ ისევ წარუმატებლად.

სამწუხაროდ, მისმა კონკურენტებმა უკეთესად იასპარეზეს აკვრაში და ჩვენებურს მხოლოდ ბრინჯაო აკმარეს.

დავითაძისგან განსხვავებით, პლესნოიმ ყველა მისვლა გამოიყენა. ატაცში პირველ ცდაზე 172 კილოგრამი ასწია, მეორე ცდაზე 177-ს მოერია, ხოლო მესამე ცდაზე 181 კილოგრამი დაძლია, რაც საუკეთესო შედეგი აღმოჩნდა.

პლესნოი მედლის მოპოვებას აკვრაშიც შეეცადა და სამივე მისვლა (203, 209, 213) გამოიყენა. თუმცა, აქ უკვე ჩინელმა, ყატარელმა და ირანელმა სპორტსმენებმა უკეთესი შედეგი დააფიქსირეს და აკვრაში პლესნოი მე-4 ადგილზე გავიდა, ორჭიდის ჯამში კი – მესამეზე და ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად.

# რეალს შევსება ინგლისიდან სურს



რეალს ნისლიანი ალბიონიდან მარტო სტერლინგის გადაბირება არ სურს. ბრიტანული პრესის ცნობით, კლუბის ხელმძღვანელებს მწვრთნელად მაურისიო პოჩეტინოს ხილვა სურთ. „სამეფო კლუბის" ხელმძღვანელები არგენტინელი სპეციალისტით გასულ სეზონში მოიხიბლნენ. შეგახსენებთ, რომ პოჩეტინოს გაწვრთნილმა ტოტენჰემმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწია.

ჩრდილოეთ ლონდონელები კი, თავისი მთავარი მწვრთნელის შენარჩუნებაზე არიან ორიენტირებულები და მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ. თუმცა, თუ გავრცელებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, არის შანსი „დეზებს" ხელი მოეცაროთ. პოჩეტინო კლუბის სატრანსფერო პოლიტიკით უკმაყოფილოა და შესაძლოა ადგილსამყოფელის შეცვლაზე დაფიქრდეს. თანაც რეალის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი არგენტინელი სპეციალისტის დიდი გულშემატკივარია.

მადრიდის რეალს რაჰიმ სტერლინგის შეძენა სურს. გავრცელებული ინფორმაციით, „სამეფო გუნდი" მანჩესტერ სიტის შემტევის გადაბირებას ზამთარში შეეცდება. თავად ფეხბურთელის და პრემიერლიგის ჩემპიონების პოზიცია უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ზიდანის გუნდს რაჰიმის გადაბირება ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროსაც სურდა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. სტერლინგი ქალაქელთა ერთ-ერთი ლიდერია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბრიტანელები მას მარტივად შეელიონ. ამ სეზონში რაჰიმმა ინგლისის ჩემპიონატში 5 მატჩი ჩაატარა და ამდენივე გოლი გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ ესპანელმა ნახევარმცველმა ჩავიმ თქვა, რომ მესის და რონალდუს ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, საუკეთესო მოთამაშე სტერლინგი იქნება.

რაც შეეხება „ბლანკოსის" ამჟამინდელ თავკაცს ზინედინ ზიდანს: ზიზუს გუნდს პრობლემები აქვს. რეალი ლა ლიგაში მე-2 ადგილზე კი იმყოფება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი სეზონი კატასტროფულად დაიწყო და ნეიმარის, მბაპესა და კავანის გარეშე მოთამაშე პსჟ-სთან 0:3 დამარცხდა.

# მესი საუკეთესო მეექვსედ გახდა



მილანის საოპერო თეატრში, ყველასთვის ცნობილ ლა სკალაში, ფიფას დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

ღონისძიებას წარსულში ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი რუუდ გულიტი და იტალიელი ჟურნალისტი ილარია დამიკო უძღვებოდნენ.

ფიფამ წლის საუკეთესო მამაკაცი და ქალი ფეხბურთელი, ასევე საუკეთესო მწვრთნელები, პუშკაშის სახელობის პრიზის მფლობელი დაასახელა.

**წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელი – ლიონელ მესი**

წლის საუკეთესო ფეხბურთელად ბარსელონას არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი დასახელდა. მე-2 ადგილზე ლივერპულის ჰოლანდიელი მცველი ვირჯილ ვან დაიკი გავიდა, ხოლო მესამეზე – ტურინის იუვენტუსის პორტუგალიელი შემტევი კრიშტიანუ რონალდუ. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელი ფორვარდი გალა-დაჯილდოვებას არ დასწრებია.

ფიფა წლის საუკეთესო ფეხბურთელს 1991 წლიდან ავლენს. თუმცა, ამჟამინდელი ფორმატი 2016 წლიდან შემოიღეს და მას შემდეგ მესი პირველად გახდა საუკეთესო, ხოლო საერთო ჯამში – მეექვსედ, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი სპორტულმა ჟურნალისტებმა, ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებმა და კაპიტნებმა გამოავლინეს, რომელთაც, 2016 წლიდან ფიფას ინიციატივით, საფეხბურთო გულშემატკივართა ხმოსანი წარმომადგენლებიც დაემატნენ. ოთხივე ამ მხარეზე ხმების 25-25% მოდის.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ჯაბა კანკავამ პირველ ადგილზე ვან დეიკი გაიყვანა, მეორეზე – მესი, ხოლო მესამეზე – რონალდუ.

„ჯვაროსნების" მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა საუკეთესოებად შემდეგი სამეული დაასახელა – მესი, რონალდუ, კილიან მბაპე.

**წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი – მეგან რაპინო**

ამ ნომინაციის გამარჯვებული აშშ-ის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მეგან რაპინო გახდა, რომელმაც კიდევ ერთ ამერიკელ ფეხბურთელ ალექს მორგანსა და ფრანგული ლიონის ინგლისელ ლეგიონერ ლუსი ბრონზის აჯობა.

**პუშკაშის სახელობის პრიზი – დანიელ ჟორი**

ეს პრიზი სეზონის საუკეთესო გოლის ავტორს გადაეცემა და უნგრული დებრეცენის 18 წლის ფორვარდ დანიელ ჟორის ხვდა წილად, რომელმაც ფერენცვაროშის კარში ულამაზესი მაკრატელა დარტყმით გაიტანა. ჟორიმ მესის (გოლი ბეტისის კარში) და კოლუმბიელ ხუან კინტეროს (რივერ პლეიტი, გოლი რასინგის კარში) აჯობა.

**წლის საუკეთესო მწვრთნელი (ვაჟთა ფეხბურთი) – იურგენ კლოპი**

წლის საუკეთესო მწვრთნელად ვაჟთა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის, ლივერპულის თავკაცი იურგენ კლოპი დასახელდა, რომელმაც ხოსეპ გვარდიოლასა (მანჩესტერ სიტი) და მაურისიო პოჩეტინოს (ტოტენჰემი) აჯობა.

კანკავამ მწვრთნელებში ასეთი არჩევანი გააკეთა – კლოპი, გვარდიოლა, პოჩეტინო.

ვლადიმირ ვაისის სამეული კი ასეთი იყო: გვარდიოლა, კლოპი, დიდიე დეშამი (საფრანგეთის ნაკრები).

**წლის საუკეთესო მწვრთნელი (ქალთა ფეხბურთი) – ჟილ ელისი**

ქალთა ფეხბურთში წლის საუკეთესო მწვრთნელად აშშ-ის ნაკრების თავკაცი ჟილ ელისი დასახელდა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება 2-ჯერ მოახერხა. ამერიკელმა სპეციალისტის კონკურენტები ინგლისის ნაკრების დამრიგებელი ფილ ნევილი და ჰოლანდიის ეროვნული გუნდის მწვრთნელი სარინა ვიგმანი იყვნენ.

**წლის საუკეთესო მეკარე – ალისონ ბეკერი**

წლის საუკეთესო მეკარის პრიზი ლივერპულის ბრაზილიელ გოლკიპერ ალისონ ბეკერს ერგო, რომელმაც თანამემამულე ედერსონსა (მანჩესტერ სიტი) და გერმანელ მარკ-ანდრე ტერ შტეგენს (ბარსელონა) აჯობა.

**წლის საუკეთესო ქალი მეკარე – სარი ვან ვეენენდაალი**

ნომინაციის გამარჯვებული ლონდონის არსენალის ჰოლანდიელი მეკარე სარი ვან ვეენენდაალი გახდა. მე-2 ადგილზე ჩილელი კრისტიანე ენდლერი (პსჟ) გავიდა, ხოლო მესამეზე შვედი ჰედვიგ ლინდალი (ჩელსი).

**წლის საუკეთესო ფანები – სილვია გრეკო და მისი ვაჟი**

ეს ამაღელვებელი პრიზი ბრაზილიური პალმეირასის ქომაგ სილვია გრეკოს და მის ვაჟს ერგოთ, რომელსაც მხედველობა აქვს დაქვეითებული და აუტიზმით არის დაავადებული, თუმცა, ისინი საფეხბურთო მატჩების მუდმივი სტუმრები არიან. ნომინანტთა შორის იყვნენ ჰოლანდიის ნაკრების ფანატები ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან და ურუგვაელი ხუსტო სანჩესი, რომელიც გარდაცვლილი შვილის გუნდს ქომაგობს.

**ფიფას ფეარ პლეის პრიზი – მარსელო ბიელსა და ლიდსი**

არგენტინელი მწვრთნელის მიერ დარიგებულ ინგლისურ გუნდს პრემიერლიგაში გადასასვლელად ასტონ ვილასთან გამარჯვება სჭირდებოდა და დაწინაურდა კიდეც, თუმცა, ეს მაშინ მოახერხა, როდესაც ბირმინგემელთა ფეხბურთელი ტრავმის გამო მინდვრიდან წამოდგომას ვერ ახერხებდა. ბიელსამ ფეხბურთელებს მიუთითა, რომ ასტონ ვილას ფეხბურთელებისთვის საპასუხო გოლის გატანაში ხელი არ შეეშალათ. ის მატჩი ფრედ დასრულდა და ლიდსელთა საქციელი ფიფაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

**წლის სიმბოლური ნაკრები (ვაჟები)**

**მეკარე**: ალისონ ბეკერი (ბრაზილია, ლივერპული);

**მცველები**: ვირჯილ ვან დაიკი (ჰოლანდია, ლივერპული), მატიას დე ლიხტი (ჰოლანდია, აიაქსი/იუვენტუსი), მარსელო (ბრაზილია, რეალი), სერხიო რამოსი (ესპანეთი, რეალი);

**ნახევარმცველები**: ედენ აზარი (ბელგია, ჩელსი/რეალი), ფრენკი დე იონგი (ჰოლანდია, აიაქსი/ბარსელონა), ლუკა მოდრიჩი (ხორვატია, რეალი);

**თავდამსხმელები**: კილიან მბაპე (საფრანგეთი, პსჟ), ლიონელ მესი (არგენტინა, ბარსელონა), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია, იუვენტუსი).

**წლის სიმბოლური ნაკრები (ქალები)**

**მეკარე**: სარი ვან ვეენდალი (ჰოლანდია, არსენალი);

**მცველები**: ლუსი ბრონზი (ინგლისი, ლიონი), ნილა ფიშერი (შვედეთი, ვოლფსბურგი), კელი ოჰარა (აშშ, იუტა), ვენდი რენარი (საფრანგეთი, ლიონი);

**ნახევარმცველები**: ჯული ერტზი (აშშ, ჩიკაგო), ამანდინ ანრი (საფრანგეთი, ლიონი), როუზ ლაველი (აშშ, ვაშინგტონი);

**თავდამსხმელები**: ალექს მორგანი (აშშ, ორლანდო), მეგან რაპინო (აშშ, რეინი), მარტა ვიერია (ბრაზილია, ორლანდო).

**23 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-3 | 13 |
| 2.ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 16-4 | 11 |
| 3.დორტმუნდი | 5 | 3 | 1 | 1 | 15-7 | 10 |
| 4.ფრაიბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 5.შალკე | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 6.გლადბახი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 7.ლევერკუზენი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 10 |
| 8.ვოლფსბურგი | 5 | 2 | 3 | 0 | 8-4 | 9 |
| 9.აინტრახტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 10.ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-12 | 6 |
| 11.აუგსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-11 | 5 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 13.ფორტუნა | 5 | 1 | 1 | 3 | 7-9 | 4 |
| 14.უნიონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 15.ჰერტა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-11 | 4 |
| 16.კიოლნი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 3 |
| 17.მაინცი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-15 | 3 |
| 18.პადერბორნი | 5 | 0 | 1 | 4 | 6-14 | 1 |

# შედეგები

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-როდეზი ........................ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-მარიტიმუ ........................ 2:2

სპორტინგი-ფამილიკაო ................ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბეშიქთაში-ბაშაქშეჰირი ............... 1:1

სივასი-ტრაბზონი ........................ 2:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

იაბლონეცი-სიგმა ........................ 2:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ჰორსენსი .................... 2:1

რანდერსის პირველი გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა

**ნორვეგია. ელიტსერია**

სტაბეკი-მიოლდე ........................ 1:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელს, გამგეობის წევრს, აკადემიკოს ელდარ ბუბულაშვილს – ძმის

**ცეზარ ბუბულაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**; 1. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები; 2. ფრანგი მოდელიორი ქალი; 3. ადამიანის, ცხოველის უჯრედშორის მიმოქცევადი უფერული სითხე; 5. პატარა რესტორანი; 6. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 8. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 11. მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი; 13. კუთხე საქართველოში; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 15. შექსპირის ტრაგედია; 19. კინემატოგრაფისტთა პრემია ესპანეთში.

**თარაზულად**: 1. ქართველი მოჭიდავე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 4. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 7. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 9. ძველბერძენი მოქანდაკე; 10. გერმანული ავტომობილი; 12. თანამედროვე მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 16. ნოდარ დუმბაძის რომანი; 17. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 18. მდგომარეობა ჭადრაკში; 20. ზოგიერთი მცენარის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 21. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 22. ნავთობის საბადო კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კურვუაზიე; 2. პაპაინი; 3. პიკეტი; 4. პლაკე; 5. ღვინიო; 11. ნესკრა; 12. ბუტიკი; 14. დალი; 17. იშტვანი; 19. თერაპია; 21. მტილი; 22. მესხი.

**თარაზულად:** 6. მურყვამი; 7. პულკოვო; 8. კუკნა; 9. სულორი; 10. ტურნე; 13. სიმდი; 15. აპლიკატურა; 18. ბასკეთი; 20. შუნი; 21. მაწონი; 23. მიკროსკოპი; 24. ნოველა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. იდიში; 5. რელე; 6. ლაქშმი; 8. ორვილე; 11. ენციკლიკა; 13. ბარამბო; 14. ლარიქსი; 15. ვიმპელი; 19. ნიკე.

**თარაზულად:** 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძერა; 9. შევროლე; 10. ჩექმა; 12. ჭვიშტარი; 16. ზელინსკი; 17. იროკეზი; 18. კინგსტონი; 20. კაქტუსი; 21. რომა; 22. ოპონენტი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9694

ევრო — 3.2634

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7002

100 რუსული რუბლი — 4.6462

## ამინდის პროგნოზი 25 სექტემბერი





## 1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე
რჩეული ნოველები
ორტომეული
ტომი 2




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## 24 სექტემბრიდან




თენგიზ პაპუაშვილი
საინგილო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## ბარბარა სამხარაძეს „ევროვიზია 2020“-ში მონაწილეობა სურს



„ნიჭიერის“ მეექვსე სეზონის გამარჯვებულ ბარბარა სამხარაძეს „ევროვიზია 2020“-ში საქართველოს სახელით მონაწილეობა სურს. ამისთვის მომღერალი „საქართველოს ვარსკვლავში“ მონაწილეობს.

ბარბარა თვითნასწავლი მომღერალია ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანიდან. მისმა შესრულებამ „ნიჭიერში“ ჟიურის ერთ-ერთი წევრისგან ნიკა გვარამიასგან ოქროს ღილაკი დაიმსახურა და საბოლოოდ მომღერალი პროექტის გამარჯვებულიც გახდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ერთი მამაკაცი მეორეს ეკითხება:

– რომელ ღვინოს ანიჭებ უპირატესობას, თეთრსა თუ წითელს?

– საერთოდ დალტონიკი ვარ და ამიტომ არაყს ვსვამ.

●●●

ექიმი მამაკაცს სინჯავს და თავს უკმაყოფილოდ აქნევს. პაციენტი ეკითხება:

– ექიმო, რა მჭირს?

– ჰოო...

– რა ჰოო, ექიმო, განკურნება შეიძლება?

– რა გითხრათ? ოპერაცია უნდა გაიკეთოთ, მაგრამ, ახლავე უნდა გითხრათ, ძალიან, ძალიან რთული ოპერაცია იქნება, უმძიმესი.

– და ოპერაციის შემდეგ ვიცოცხლებ?

– ასეთი ოპერაციის შემდეგ თუ იცოცხლებ? დიახ, ალბათ, მაგრამ, გულახდილად გეტყვით, არ გირჩევთ...

●●●

ორი სომეხი რესტორანში გვერდით მაგიდასთან მსხდომ გოგონებს თვალს არ აშორებს. ბოლოს ერთი მეორეს ეუბნება:

– ხომ არ გაგვეცნო?

– ჯერ არა.

– რატომ?

– ჯერ შეკვეთის ფული გადაიხადონ...

●●●

ნარკომანი მეგობარს ურეკავს:

– ალო, თემო, როგორ ხარ?

– ახლა ვერ დაგელაპარაკები და მალე თვითონ გადმოგირეკავ, სასაფლაოზე ვარ.

– აუ, ბიჭო, ვინ მოგკლა, ტოო?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ვიკა კალანდია ეფლის რეკლამაში გადაიღეს

### „არ გავგიჟდე, მეშინია“



სოხუმის თეატრის მსახიობი ვიკა კალანდია ახალი ეფლის რეკლამაში გადაიღეს.

კომპანიამ ახალი პროდუქცია მსოფლიოს უკვე წარუდგინა. სარეკლამო ვიდეორგოლში ქართველი მსახიობი კლიპის ბოლოს რამდენიმე წამის განმავლობაში ჩანს.

თუმცა ეს დასასრული არ არის. ქართველ მსახიობს ბრიტანელი რეჟისორი პიტერ ვებერი სრულმეტრაჟიან ფილმში იღებს.

**ვიკა კალანდია:**

– იმდენად მახარებს და მეხმარება თქვენი კეთილი სურვილები, ვერ ვითმენ და თქვენც უნდა გახაროთ – ჩემი საყვარელი ბრიტანელი რეჟისორი პიტერ ვებერი და მე ვიწყებთ ახალ სრულმეტრაჟიან ფილმზე მუშაობას. მისი ფილმია „გოგონა მარგალიტის საყურით“, „„ჰანიბალი“, რომელმაც სკარლეტ იოჰანსონი აღმოაჩინა.

ჩემი პარტნიორების შესახებ ჯერ არაფერს გეტყვით. უბრალოდ, არ მჯერა, რომ ეს პროექტი ჩემს კარიერაში ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი იქნება! ამიტომ გამოუშვით დადებითი ენერგიები... არ გავგიჟდე, მეშინია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ემილი რატაკოვსკის მაქმანებიანმა საცვლებმა მისი ფანები გაახარა



ამერიკელმა სუპერმოდელმა, მსახიობმა და დიზაინერმა ემილი რატაკოვსკიმ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე თავისი ეროტიული ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

ფოტოზე შავი ფერის მაქმანებიან საცვლებში გამოწყობილი 28 წლის მოდელი მაღაზიის ვიტრინიანი მაცივრის ფონზე პოზირებს, რომელშიც სასმელები აწყვია.

– რატომ არ გამოვაქვეყნე აქამდე ეს კადრი ჩვენი ინამორატა ვუმენის ბრენდის კოლექციიდან. მეგობრებო, თქვენ ისურვებდით ასეთ მაქმანებიან კომპლექტს? მომწერეთ თუ მოგწონთ და გამოვუშვებ, – მიმართა რატაკოვსკიმ თაყვანისმცემლებს ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

თავის მხრივ თაყვანისმცემლებმა მოდელისთვის თავიანთ კომენტარებში ქათინაურები არ დაიშურეს.

– როგორც ყოველთვის, ბრწყინვალე ხარ! – სუპერმოდელი შეაქო ერთ-ერთმა ფანმა.

– იდეალური სხეული გაქვს, – დაწერა მეორემ.

– შთამბეჭდავად გამოიყურები, – აღნიშნა რატაკოვსკის კიდევ ერთმა თაყვანისმცემელმა.

– უფრო მეტი მაქმანებიანი თეთრეული, – ითხოვა მეოთხე ფანმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## გვარდიოლა, შესაძლოა, იუვენტუსის მწვრთნელი გახდეს

მანჩესტერ სიტის დამრიგებელი ხოსეპ გვარდიოლა, შესაძლოა, სიტიდან წასვლის შემდეგ იუვენტუსის მწვრთნელი გახდეს. ჯერჯერობით გვარდიოლა წასვლას არ აპირებს, მაგრამ ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მისთვის იტალიაში მუშაობა საინტერესო იქნებოდა.



იუვენტუსი გვარდიოლას მიწვევას ცდილობდა ზაფხულში, მაგრამ ესპანელმა სპეციალისტმა უარი თქვა და იუვენტუსი მაურისიო სარის დასჯერდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ბარსელონა ნაპოლის მცველით დაინტერესდა



ბარსელონა სატრანსფერო ბაზარზე ახალ მცველს ეძებს, რომელიც მომავალში ჟერარ პიკეს შეცვლის, რადგან უკვე 31 წლის არის.

ბარსელონის გეგმებში ნაპოლის ცენტრალური მცველი სალიდუ კულიბალი შედის, რომელიც ამჟამად ევროპაში თავის პოზიციაზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. კულიბალის შეძენას ზაფხულში იუვენტუსი ცდილობდა, მაგრამ ნაპოლიმ მისი გაშვება არ მოინდომა.

კულიბალის სატრანსფერო ფასი მინიმუმ 90 მილიონი ევროა.

## გარი ნევილი: „მანჩესტერ იუნაიტედს ახალი ფეხბურთელები სჭირდება“




მანჩესტერ იუნაიტედმა სეზონი საკმაოდ ცუდად დაიწყო და უკვე საუბრობენ იმის შესახებ, რომ ოლე გუნარ სოლსკიაერმა, შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს. იუნაიტედის ლეგენდა გარი ნევილი კი ფიქრობს, რომ გუნდს, უბრალოდ, ახალი ფეხბურთელები სჭირდება და ყველაფერი გამოსწორდება:

– არ ვფიქრობ, რომ სოლსკიაერი დამნაშავეა, რადგან მას, უბრალოდ, არ ჰყავს საკმარისად ბევრი ფეხბურთელი და ამის გამო ტრავმები მისთვის დიდი პრობლემაა. ვფიქრობ, მანჩესტერმა სატრანსფერო ბაზარზე მეტი უნდა იმუშაოს.

## ასტროპროგნოზი

### 25 სექტემბრისთვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ დაქვეითებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. იკვებეთ სწორად. **კურო** – ნუ გადაიღლებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – საკუთარ შეცდომებს დაუკვირდით და გააანალიზეთ. დაეხმარეთ გაჭირვებულებს. **კირჩხიბი** – თქვენს სულიერ სიმშვიდეს არაფერი არღვევს. სერიოზული საქმით დაკავდით. **ლომი** – საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ახლობელ ადამიანთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება, რომელშიც თქვენც ჩაერთვებით. ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. ერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. **ღრიანკალი** – შემოქმედებით საქმიანობაში გიმართლებთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. გიმართლებთ როგორც სიყვარულში, ისე კარიერაში. ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და წინდახედულობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადეთ, სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. **მერწყული** – კარგად გამოიძინეთ, დაისვენეთ. სუფთა ჰაერზე სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **თევზები** – გაითვალისწინეთ გამოცდილი სპეციალისტის რჩევები. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების რისკი დიდია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. მდინარე ახალციხეში; 3. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული, მარადმწვანე მცენარე; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 11. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. პოპულარული ქართული სიმღერა; 14. იაპონური არაყი; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. ჰოლანდიური ლუდი; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 22. უბანი თბილისში.

**თარაზულად**: 6. მაღაროელთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 7. თალლითის ძველი ქართული სახელწოდება; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 10. გარკვეული ვადითა და პირობებით გაცემული თანხა; 13. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 15. გერმანიაში გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 18. ლატვიელი ესტრადის მომღერალი ქალი; 20. ღვინის ჩამომსხმელის, მერიქიფის ძველი სახელწოდება; 21. სასიგნალო ნაგებობა გემებისთვის ზღვის სანაპიროზე; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

